



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ**

„სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შეფასების თარიღ(ებ)ი 2021 წლის 17 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი
26.07.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სასურსათო ტექნოლოგიების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	საკვები პროდუქტების გადამუშავება, კოდი: 0721
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	50
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პროგრამა აკრედიტებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 12/11/2019, #203 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ სანიკიძე, სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი / გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, საქართველო
--	---

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წვერი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა კველიშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წვერი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

2018 წელს, პროგრამისა და უმაღლესი განათლების სფეროს წლიური შეფასების გამოწვევების საპასუხოდ, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭომ განიხილა პროგრამის განმახორციელებლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი შეთავაზება მოქმედი სადოქტორო პროგრამის შეჩერებასა და მისი განახლებული, შეცვლილი ვერსიის შემუშავებაზე. 2018 წელს ახალი პროგრამა შემუშავდა და მისი წარდგენა მოხდა აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პროცედურებისა და მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა მოიცავდა 180 ECTS კრედიტს და 6 სასწავლო სემესტრს. 50 კრედიტი განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისთვის, ხოლო 130 კრედიტი მოიცავდა კვლევითი კომპონენტს (2018წ)

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“ აკრედიტაციის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2019 წლის 12 ნოემბერს №206 გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2019 წლის 26 ნოემბერს, გადაწყვეტილების მიღების მომენტში, აკრედიტაციის საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, განხორციელებულიყო პროგრამის მონიტორინგი და გადამოწმებულიყო აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენი ვადა განისაზღვრა - 6 თვე (2020 წლის 27 მაისამდე).

შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიში შესწავლილ იქნა აკრედიტაციის ექსპერტის მიერ და მოხდა ანგარიშის დასკვნის წარდგენა 2020 წლის 3 აგვისტოს. ანგარიში განხილულ იქნა აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს სხდომაზე. ანგარიში არ იქნა მიღებული ცნობად და საბჭომ ცენტრთან იშუამდგომლა, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, ერთი წლის თავზე დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

მიმდინარე შეფასების პირობებით, „სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი იქნა პროგრამის ირგვლივ მასალები. ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევა საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება.

პროგრამა „სასურსათო მეცნიერება და ტექნოლოგია“ კვალიფიკაციის დონე-8, კურსდამთავრებულებს ანიჭებს სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

სრული სადოქტორო პროგრამის კურსის მოცულობა შეადგენს 50 კრედიტს. პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება არანაკლებ 3 წელი (6

სემესტრი). 50 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს და კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სადოქტორო დისერტაციის დაცვით. პროგრამა მომზადებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის მიერ.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. მონიტორინგის შემოწმების საფუძველია აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე, ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის №486592, 25/05/2021 ბრძანების თანახმად სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო მეცნიერებისა და ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: თამარ სანიკიძე (თავმჯდომარე), მანანა კველიშვილი (წევრი), ლანა ბოკუჩავა (სტუდენტი წევრი). გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა I სტანდარტი, II სტანდარტი, III სტანდარტის 3.1 კომპონენტი, IV სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტები, V სტანდარტის 5.2 კომპონენტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მონიტორინგის მიზნით მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლა, დადარება 2019 წლის 11 ნოემბრის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასთან. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-დან გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, კერძოდ:

1. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ამსახველი რუკა;
2. კურიკულუმის რუკა;
3. დადგენილება №83(18/19) აწსუ საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ,
4. დოკუმენტი - შრომითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტებისა და ხელმძღვანელების უფლება-მოვალეობებს.

აკრედიტაციის ჯგუფმა იხელმძღვანელა ამჟამად მოქმედი რეგულაციებით, რომელიც 2018 წლის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ:

- კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, თავი VII - უმაღლესი განათლების საფეხურები, მუხლი 46 - აკადემიური უმაღლესი განათლებისა და მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების საფეხურები. ცვლილება კანონში უმაღლესი განათლების შესახებ შევიდა 2018 წლის 20 სექტემბერს, ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2018 წლის 5 ოქტომბერს (დოკუმენტის ნომერი 3438-ლ). შესაბამისად, ცვლილება კანონში შევიდა წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის (04. 04. 2018) შემდეგ.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებით.
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანებით;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო;

როგორც აღინიშნა, ექსპერტებმა იხელმძღვანელეს ამჟამად მოქმედი რეგულაციებითა და სტანდარტებით, რომლებიც მოდიფიცირებულ იქნა 2018 წლის შემდგომ. ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები მოწოდებულია სადოქტორო პროგრამის დახვეწისა და სრულყოფის მიზნით, რათა იგი აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს და, ასევე, შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- ✓ პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მესამე სტანდარტის 3.1. კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მეოთხე სტანდარტის 4.1. და 4.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მეხუთე სტანდარტის 5.2 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ **რეკომენდაციები**

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ✓ სასურველია გადაიხედოს და დაიხვეწოს სასწავლო კურსის სილაბუსები, რათა დაკორექტირდეს მიზანი და შედეგის ჩანაწერები დოქტორანტურის დონის შესაბამისად
- ✓ სასურველია დიპლომირებული სპეციალისტის ნაცვლად გამოყენებულ იქნას ტერმინი აკადემიური ხარისხი;
- ✓ სასურველია პროგრამას ძირითად სასწავლო კურსების ნაწილში დაემატოს სასწავლო კურსი, „კვლევის მეთოდები სასურსათო ტექნოლოგიაში“, სადაც განხილული იქნება კვლევის ყველა ის მეთოდი, რომელიც გამოადგება დოქტორანტს სადოქტორო თემასთან დაკავშირებული კვლევების ჩატარების დროს.
- ✓ სასურველია პროგრამაზე დაშვების პირობებში დეტალურად მიეთითოს ის დარგები, რომლის კურსდამთავრებულსაც შეუძლია აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა.
- ✓ სასურველია პროგრამაში გაიწეროს თუ როდის ხდება კოლოქვიუმების წარდგენა და ჩაბარება
- ✓ სასურველია შემცირდეს პროგრამის არჩევით ნაწილში სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა
- ✓ სასურველია სადოქტორო პროგრამის დებულებაში/პროგრამაში გაწერილ იყოს თუ რამდენი სტატია მოეთხოვება დოქტორანტს დისერტაციის დაცვაზე გასვლამდე
- ✓ სასურველია თუ სასწავლო კურსის სილაბუსებში დაიხვეწება ძირითადი ლიტერატურა;
- ✓ სასურველია თუ დაიხვეწება სასწავლო კურსების მიზანი მის თემატიკასთან და შედეგთან, რომლებიც სრულად პასუხობს სასწავლო კურსს;
- ✓ სასურველია პერსონალს ჰქონდეს აქტიური კონტაქტები და თანამშრომლობა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, რაც გააუმჯობესებს მათ პუბლიკაციებს;

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ✓ პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი. ერთი მათგანი ძალიან გამოცდილია და გადასცემს გამოცდილებას მეორეს, პროგრამის ნაკლებად გამოცდილ ხელმძღვანელს

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- ✓ 2019 წელს აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციაში აღნიშნულია:
უზრუნველყოფილ იქნეს ინგლისური ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად სასწავლო კურსის დაწყება, როგორც სასწავლო პერსონალის, ასევე სტუდენტებისთვის. ასევე, გაძლიერდეს არსებული ენების მხარდაჭერის სერვისი. ინგლისურ ენაზე ტექნიკური წერის ტრენინგი წარმოდგენილ იქნეს სწავლების სავალდებულო ელემენტის სახით. უსდ-მ შეასრულა აღნიშნული რეკომენდაცია და საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო გეგმაში (2018-2019) ჩასმულია სასწავლო კურსი - დარგობრივი ინგლისური ენა, რომლის სილაბუსიც არის წარმოდგენილი.
- ✓ 2019 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში რეკომენდირებული იყო ეწარმოებინათ კამპანია ახალგაზრდების მეცნიერებით დაინტერესების მიზნით. რაც უსდ-ს მიერ იქნა შესრულებული შემდეგი აქტივობებით: ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურებზე დარგის აქტუალური პრობლემებისა და უახლესი სამეცნიერო მიღწევების ანალიზი. კვლევით დაინტერესებული სტუდენტების იდენტიფიცირება და მათი ინტერესის სფეროს გათვალისწინებით მომავალი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება.
- ✓ აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციების ნუსხაში აღნიშნულია, გავლილ იქნეს საფუძვლიანი ტრენინგი სასწავლო პერსონალის და სტუდენტების მიერ ნაშრომების გამოქვეყნების ხარისხის ფაქტორების შესახებ. მათ მიეწოდოთ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო, რეცენზირებად და იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში გამოქვეყნების ხელშესაწყობად და მისაღწევად, რაც სრულად დააკმაყოფილა უსდ-მ სასწავლო გეგმაში არჩევითი სასწავლო კურსის „სამეცნიერო ნაშრომების წერის საფუძვლები“ ჩასმით.
- ✓ რეკომენდაციებში ცალსახად არის მოწოდებული პედაგოგიური ცოდნის პრაქტიკა სტუდენტთა მიერ, რათა მათ მიერ გაწეულ იქნეს ლექტორების ასისტირება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე. აღნიშნული რეკომენდაცია უსდ-ს მხრიდან სრულად იქნა დაკმაყოფილებული სადოქტორო პროგრამაში „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“-ში სასწავლო 5 კრედიტიანი კურსის დამატებით.
- ✓ 2019 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მოყვანილი რეკომენდაცია: მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო პრაქტიკა და სპეცემინარი საათებისა და კრედიტების ეკვივალენტობის შესახებ წესებთან ასახულია სასწავლო კურსებში „სასწავლო პრაქტიკა“ და „სპეც სემინარი“ საათები და კრედიტები მოყვანილია საათებისა და კრედიტების ეკვივალენტობის შესახებ წესებთან შესაბამისობაში (1 კრედიტი - 25 სთ). სადოქტორო პროგრამის კომპონენტებისათვის შეიცვალა საათების განაწილება. კერძოდ, 2020 წლის აპრილიდან დოქტორანტის ხელმძღვანელობისათვის სასწავლო-ორგანიზაციული დატვირთვიდან გამოიყო და საკონტაქტო საათებში აისახა 15 სთ ერთ დოქტორანტზე სასწავლო წლის განმავლობაში, ასევე სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელობისათვის ანალოგიურად განისაზღვრა საკონტაქტო 10 სთ ერთ დოქტორანტზე სასწავლო წლის განმავლობაში., რისი მტკიცებულებაც აქვს წარმოდგენილი უნივერსიტეტს აკადემიური საბჭოს დადგენილების სახით.
- ✓ აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებს ინდუსტრიაში არსებული ყველაზე ფართოდ გავრცელებული სამუშაო ერთეულების ძირითადი საინჟინრო პრინციპების სწავლება სავალდებულო და არჩევითი კურსის სახით გათვალისწინებულია და სასწავლო გეგმაში დამატებულია არჩევითი კურსი 5 კრედიტიანი სილაბუსი“ დარგის პროცესების აქტუალური საკითხები“
- ✓ უსდ მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული და ასახული რეკომენდაცია ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა სავალდებულო და მთავარ მოთხოვნად., როგორც პროგრამაზე დაშვების მთავარი წინაპირობა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“ მიზანია ღრმა, სისტემური და უახლესი ცოდნით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური მკვლევარ-მეცნიერის მომზადება, რომელიც კვლევის თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად შეძლებს საკვები პროდუქტების მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში აქტუალური ორიგინალური, ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების განხორციელებას, ახალი ცოდნის შექმნას, გადაცემას და გავრცელებას, რომლებიც შეძლებენ: საკვები პროდუქტების მეცნიერებასა და ტექნოლოგიების სფეროში ლოკალური, რეგიონალური თუ გლობალური პრობლემის იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიებას, პრობლემის ირგვლივ უახლესი სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვებას, კრიტიკულ ანალიზს და ახალი კვლევის დაგეგმვას. ასევე მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებელი, ორიგინალური, ინოვაციური, ფუნდამენტალური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და ახალი ცოდნის დაგროვებას, კვლევის შედეგების გაანალიზებას, შეჯამებასა და საერთაშორისო რეფერირებელ ჟურნალებში პუბლიკაციისათვის თეორიული და კვლევითი მასალის მომზადებას, ოპტიმალური, ორიგინალური და ინოვაციური გადაწყვეტილების მიღებას.

პროგრამის მიზნის შემუშავებისას გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ ანგარიშის შეფასების დროს (2020 წლის 08 სექტემბერი) და 2019 წელს სააკრედიტაციო პროცესის ექსპერტთა რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“ განხორციელდა არაერთი ცვლილება, მათ შორის: უნივერსიტეტის მიერ შემუშავდა და გაიწერა სასწავლო გეგმაში არჩევითი სასწავლო კურსი - „სამეცნიერო ნაშრომების წერის საფუძვლები“, ასევე გააუმჯობესეს სასწავლო კურსი „დარგობრივი ინგლისური ენა“ რაც მოიცავს საერთაშორისო რეცენზირებად და იმფაქტ-ფაქტორის ჟურნალებიდან თემატური სტატიების გამოყენებას. მათ ასევე მოამზადეს სტუდენტებისთვის ინგლისურენოვანი ტრენინგის პროგრამა, რომელიც ჩართულია კვლევითი კომპონენტის ფარგლებში. პროფესორის ასისტენტობის კუთხით პროგრამას დაემატა

<p>„პედაგოგიური პრაქტიკის“ სასწავლო კურსი.</p> <p>პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულში. პროგრამა ასევე ასახავს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს. მიზნები თანმიმდევრულია უსდ-ს მისიასთან, ამოცანებთან და სტრატეგიასთან მიმართებაში, ასევე მის ფაკულტეტთან/სკოლასთან/საგანმანათლებლო ერთეულთან თუ სტრუქტურულ ერთეულთან მიმართებით. აწსუ-ს მისიაა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები, წვლილი შეიტანოს რეგიონისა და ქვეყნის განვითარებაში. მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებს, სამეცნიერო დარგის მდგომარეობას და საზოგადოებრივი განვითარების საჭიროებებს. მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია. სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონე მკვლევარი და დარგის სპეციალისტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის აგრარული პოლიტიკის ეფექტურად იმპლიმენტაციას და ზოგადად, სასურსათო ტექნოლოგიის სექტორის ფორმირებასა და სრულყოფას. ამრიგად, პროგრამის შეთავაზების მიზეზია სასურსათო ტექნოლოგიის დარგის თანამედროვე გამოწვევები, საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნები კვალიფიციურ კადრებზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა</p> <p>უნივერსიტეტის მისია</p> <p>უნივერსიტეტის ვებგვერდი https://atsu.edu.ge/index.php</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“ სწავლის შედეგები შემუშავებულია „ეროვნული კვალიფიკაციები ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №695 ბრძანებით შესაბამისად. პროგრამა შეესაბამება დოქტორანტურის დონეს, და პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს კომპეტენციებს, რომელიც მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტურია და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები. ზემოაღნიშნულის შედეგად, წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული: ერთის მხრივ მეცნიერია, რომელიც აღჭურვილია უახლესი, ღრმა და სისტემური ცოდნით, უნარი აქვს კვლევის თანამედროვე საერთაშორისო და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით ორიგინალური ფუნდამენტალური და გამოყენებითი წარმოების, ახალი ცოდნის შექმნისა და გავრცელების. შეუძლია სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის წარმართვა უმაღლეს სასწავლებლებში; მეორეს მხრივ, უმაღლესი კვალიფიკაციის მკვლევარი-ტექნოლოგი, რომელიც ფლობს დარგში არსებული პრობლემების კრიტიკული ანალიზის, მისი გადაჭრის ინოვაციური გზების ძიების, ოპტიმალური გადაწყვეტილების მეცნიერულ და მაღალ პროფესიონალურ დონეზე გადაჭრის უნარს, თუმცა

დაცული დისერტაციები უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დოკუმენტაციაში ვერ მოიძებნა.

სადოქტორო პროგრამაში განსაზღვრულია სტუდენტების მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები, რომელიც შესაძლებელია შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

- აქვს სიღრმისეული ცოდნა საკვები პროდუქტების (პურ-ფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმის, ხორცისა და რძის პროდუქტების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების და სხვ.) წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიების მეცნიერულ-პრაქტიკულ საფუძვლების შესახებ, ანალიზებს უახლეს მიღწევებს და აქტუალურ პრობლემებს ამ სფეროში;
- ფუნქციონალური (მათ შორის სამკურნალო-პროფილაქტიკური) დანიშნულების საკვები დანამატებისა და პროდუქტების წარმოების თანამედროვე მიმართულებების, მათი წარმოების მეცნიერულ-პრაქტიკულ საფუძვლების შესახებ და წარმოაჩენს პრობლემებსა და პერსპექტივებს;
- სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების შესახებ;
- გამოიყენებს სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების კვლევის თანამედროვე ქრომატოგრაფიულ და სპექტრალურ მეთოდებს, არჩევს საკვებ პროდუქტებში შემავალი ნაერთების თვისობრივ და რაოდენობრივ ანალიზის მეთოდებს, სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებს და განსაზღვრავს მათი მეტაბოლიზმის ძირითად პრინციპებს;
- ანალიზებს ფუნქციონალური დანიშნულების საკვები დანამატებისა და პროდუქტების პროფილაქტიკური ეფექტურობის შეფასების ბიოლოგიურ და კლინიკურ კვლევის მეთოდებს.

პროგრამის შემუშავების ჯგუფმა და ხელმძღვანელებმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს და ექსპერტების რეკომენდაციები და დაიხვეწა პროგრამის შედეგები, კერძოდ:

- ✓ პროგრამის პერსონალი უზრუნველყოფს, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ იცოდეს პროგრამის სწავლის შედეგები.
- ✓ პროგრამას აქვს განსაზღვრული მექანიზმი სწავლის შედეგების შესაფასებლად. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ და რეგულარულად. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის თავისებურებებს. იგი იყენებს შესაბამისი შეფასების ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რა დონეზე მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგები. გამოიყენება შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი შეფასება მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში). პირდაპირი შეფასების მეთოდით მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგს. სწავლის შედეგის სრულყოფილად ჩამოყალიბებისათვის სასურველია დაიხვეწოს სასწავლო კურსის სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურა და

შედეგი განმარტებულ იქნას სადოქტორო (მერვე) დონის შესაბამისად, კერძოდ: ზოგიერთ სილაბუსებში გვხვდება ჩანაწერი „დოქტორანტი გაეცნოს ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების აუცილებელი კომპონენტის -ფუნქციონალური ინგრედიენტების თვისებებს“ (გაცნობა დოქტორანტურის საფეხურისათვის მიუღებელია).

- ✓ არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების შეფასების და ანალიზის საფუძველზე. პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ.
- ✓ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის მოცემულია სამიზნე ნიშნული, შეფასების შედეგები კონტროლდება და ხდება მათი შედარება სამიზნე ნიშნულთან. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. პროგრამის პერსონალს აქვს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, სტუდენტთა სწავლის შედეგების დანერგვის, გაზომვისა და გაანალიზების მიმართულებით. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს იმის თაობაზე, თუ რამდენად მიაღწიეს გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სადოქტორო პროგრამა “სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიები”
 ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები
 გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები
 უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N32(20/21)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია გადაიხედოს და დაიხვეწოს სასწავლო კურსის სილაბუსები, რათა დაკორექტირდეს მიზანი და შედეგის ჩანაწერები დოქტორანტურის დონის შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

“სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიები”-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნებია: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სასურსათო ტექნოლოგიაში ან მონათესავე დარგებში; თუმცა პროგრამაში დეტალურად გაწერილი არ არის რომელი დარგის სპეციალისტს აქვს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება, აგრეთვე

აუცილებელია აკრედიტაციის საბჭოსა და ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია, შეიცვალოს მოთხოვნა „ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონეზე ცოდნა“-ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მთავარი მოთხოვნით, პროგრამაში წარმატებით არის შესრულებული, დოქტორანტურაში მიღების ერთ-ერთი პირობაა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (გამოცდის ჩაბარება აწსუ-ში ან სათანადო სერთიფიკატის წარმოდგენა). დოქტორანტურაში მიღების პირობა დეტალურად გაწერილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დადგენილებაში N32(20/21) დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სადოქტორო პროგრამა “სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიები”

აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება N32(30/21) სადოქტორო სწავლების წარმოების ძირითადი პრინციპების შესახებ“

უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; <https://atsu.edu.ge/>

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დიპლომირებული სპეციალისტის ნაცვლად გამოყენებულ იქნას ტერმინი აკადემიური ხარისხი;
- სასურველია პროგრამაზე დაშვების პირობებში დეტალურად მიეთითოს ის დარგები, რომლის კურსდამთავრებულსაც შეუძლია აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“ შემუშავებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ შესაბამისად. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამაში არსებული კომპონენტების შინაარსობრივ მხარეს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და დოქტორანტურის საფეხურის შესაბამის დონეს.

პროგრამა შედგენილია ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის მიხედვით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი). 50 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია: სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები - 5 კრედიტი; პედაგოგიური პრაქტიკა - 5 კრედიტი; სურსათის უვნებლობის აქტუალური პრობლემები - 5 კრედიტი; სპეცსემინარი - 10 კრედიტი. პროგრამის ხელმძღვანელებმა და პროგრამის შემუშავების ჯგუფმა გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაცია და პროგრამაში შეიტანეს სავალდებულო სასწავლო კურსი „პედაგოგიური პრაქტიკა“, რომელიც მოიცავს პროფესორის ასისტორების საკითხებს. პროგრამა მოიცავს არჩევით სასწავლო კურსებს 25 კრედიტის ფარგლებში. პროგრამის არჩევითი ნაწილი შედგება 12 სასწავლო კურსისაგან, საიდანაც სტუდენტი ირჩევს მხოლოდ 5 ან 4 კურსს (25 კრედიტი). წარმოდგენილი არჩევითი სასწავლო კურსებიდან შესაძლებელია რამდენიმეს გაერთიანება და ერთი სავალდებულო კურსის ჩასმა პროგრამაში როგორცაა „კვლევის მეთოდები სასურსათო ტექნოლოგიაში“, ამ სასწავლო კურსში შესაძლებელია გაერთიანდეს საკითხები შემდეგი სასწავლო კურსებიდან: „ფუნქციონალური დანიშნულების საკვები პროდუქტების კლინიკური კვლევის მეთოდები“, „საკვები პროდუქტების კვლევის ქრომატოგრაფიული და სპექტრალური მეთოდები“, „ბიოტექნოლოგია“. წარმოდგენილი

სასწავლო კურსები მეტად მნიშვნელოვანია სადოქტორო პროგრამისთვის, ამიტომ მისი არჩევითი სახით შეთავაზება არასწორი მიდგომაა.

- ✓ პროგრამის შემუშავების ჯგუფმა სრულყო სილაბუსებში „სასწავლო პრაქტიკა“ და „სპეც სემინარი“ საათების და კრედიტების ეკვივალენტობა. (1 კრედიტი - 25 საათი) სილაბუსში „სპეციალური სემინარი“ გამოყენებული ლიტერატურა უფრო დეტალიზებულია და მითითებულია კონკრეტული ლიტერატურული წყაროები.
- ✓ საგნების სილაბუსებში: „სურსათის უვნებლობის აქტუალური პრობლემები“, „საკვები პროდუქტების ქიმიის აქტუალური საკითხები“, „საკვები პროდუქტების წარმოების აქტუალური საკითხები“, „ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების წარმოების პრობლემები და პერსპექტივები“ დასაბუთებული აქვს თუ რატომ არ მოიცავს ლაბორატორიულ სამუშაოებს. ყოველი სტუდენტისათვის შედგება ინდივიდუალური სილაბუსი, რომელშიც სადისერტაციო კვლევის შესაბამისი თემის მოცულობა გაიზრდება 2 საათიდან 16 საათამდე, სადაც გათვალისწინებული იქნება ლაბორატორიული სამუშაოებიც, ხოლო დანარჩენი თემები (14 თემა) შემცირდება 2 საათიდან 1 საათამდე (საათების საერთო რაოდენობა დარჩება უცვლელი - 30 სთ), თუმცა ეს ცვლილება გამოიწვევს გარკვეულ პრობლემებს, თუ სტუდენტების რაოდენობა 5-ზე მეტი იქნება, პედაგოგს 5 და მეტი განსხვავებული სილაბუსის შედგენა მოუწევს, შესაბამისად 5-ჯერ მეტი მეცადინეობის ჩატარება გახდება აუცილებელი.
- ✓ სასწავლო კურსებში „სასწავლო პრაქტიკა“ და „სპეც სემინარი“ საათები და კრედიტები მოყვანილია საათებისა და კრედიტების ეკვივალენტობის შესახებ წესებთან შესაბამისობაში (1 კრედიტი - 25 სთ);
- ✓ სადოქტორო პროგრამის „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“ კომპონენტისათვის შეიცვალა საათების განაწილება. კერძოდ, 2020 წლის აპრილიდან დოქტორანტის ხელმძღვანელობისათვის სასწავლო-ორგანიზაციული დატვირთვიდან გამოიყო და საკონტაქტო საათებში აისახა 15 სთ ერთ დოქტორანტზე სასწავლო წლის განმავლობაში, ასევე სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელობისათვის ანალოგიურად განისაზღვრა საკონტაქტო 10 სთ ერთ დოქტორანტზე სასწავლო წლის განმავლობაში.
- ✓ პროგრამის სასწავლო გეგმაში დაემატა 5 კრედიტიანი არჩევითი სასწავლო კურსი „დარგის პროცესების აქტუალური საკითხები“ სასწავლო კურსის მიზანია მისცეს დოქტორანტს ცოდნა კვების საწარმოთა პროცესების კვლევის თანამედროვე მეთოდების შესახებ.
- ✓ სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია: 2 კოლოკვიუმი და დისერტაციის დასრულება და დაცვა. კოლოკვიუმის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის პროგრამის სასწავლო გეგმაში, ეს ნაწილი განხილულია მხოლოდ დოქტორანტურის დებულბაში, სადაც განმარტებულია, რომ კოლოკვიუმის შესრულების

<p>შესახებ ცნობას გასცემს ფაკულტეტის დეკანი, მაგრამ გაურკვეველია სწავლების რომელ სემესტრში ხდება კოლოქიუმის წარდგენა ან როგორ ფასდება. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს.</p> <p>პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო-კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული, დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის შესაბამისად.</p> <p>სადოქტორო პროგრამა „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“ თანმიმდევრულია დარგის სპეციფიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიმართ. დანერგილია პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით (აკადემიური/ სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალი, სტუდენტები/ კურსდამთავრებულები/ დამსაქმებლები და სხვა).</p> <p>პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ხელმისაწვდომობას და საჯაროობას, ყველა დაინტერესებული პირისთვის, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული პროგრამა.</p> <p>უდს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა. პროგრამის განხილვა მიმდინარეობდა დეპარტამენტის სხდომაზე დაინტერესებული პირების მონაწილეობით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილული იქნა მხოლოდ დოკუმენტაცია, არ მოხდა დაცული დისერტაციების გამოთხოვა და მისი შესწავლა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>სადოქტორო პროგრამა “სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიები” აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება N32(30/21) „სადოქტორო სწავლების წარმოების ძირითადი პრინციპების შესახებ“ სასწავლო კურსების სილაბუსები; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; https://atsu.edu.ge/</p>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია პროგრამას ძირითად სასწავლო კურსების ნაწილში დაემატოს სასწავლო კურსი, კვლევის მეთოდები სასურსათო ტექნოლოგიაში“, სადაც განხილული იქნება კვლევის ყველა ის მეთოდი, რომელიც გამოადგება დოქტორანტს სადოქტორო თემასთან დაკავშირებული კვლევების ჩატარების დროს.

<ul style="list-style-type: none"> • სასურველია პროგრამაში გაიწეროს თუ როდის ხდება კოლოქვიუმების წარდგენა და ჩაბარება • სასურველია შემცირდეს პროგრამის არჩევით ნაწილში სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“ ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და გამომდინარეობს კურსის მიზნიდან, სასწავლო კურსის შედეგებიდან კი აგებულია პროგრამის შედეგი.</p> <p>თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა ლიტერატურა მწირია, დამხმარე ლიტერატურაში მითითებულია დარგში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, რომლებიც გამოქვეყნებულია რეიტინგულ ჟურნალებში. სასურველია დამატებითი ლიტერატურიდან წარმოდგენილი შრომები გადმოვიდეს ძირითად ლიტერატურაში.</p> <p>სასწავლო კურსში „საკვები პროდუქტების მიკრობიოლოგიის საკითხები ძირითად ლიტერატურის</p>

<p>ჩამონათვალში მითითებულია საქ. მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N 581 დადგენილება, რომელიც ლიტერატურაში ვერ ჩაითვლება.</p> <p>სასწავლო კურსის „ფუნქციონალური დანიშნულების საკვები პროდუქტების კლინიკური კვლევის მეთოდები“ შინაარსი არ შეესაბამება კურსის დასახელებას და არც პროგრამას „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“.</p> <p>სასწავლო კურსის „საკვები პროდუქტების წარმოების აქტუალური საკითხები“, რომელიც ისწავლება I და II სემესტრში მიზანში ვკითხულობთ: მისცეს დოქტორანტს ცოდნა ხორცის პროდუქტების წარმოების აქტუალური საკითხების და მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო დარგობრივი კვლევითი ცენტრების უახლესი კვლევების და თანამედროვე მიღწევების შესახებ ამ სფეროში, თუმცა სილაბუსში განმარტებულია თემატიკები შემდეგი სახით: I სემესტრში ისწავლება: 1. პურ-ფუნთუშეულის ნაწარმის ტექნოლოგია 2. ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია 3. ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგია 4. ალკოჰოლიანი სასმელების ტექნოლოგია II სემესტრში ისწავლება: 1. რძის პროდუქტების ტექნოლოგია 2. საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია 3. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია 4. უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგია. სასურველია მიზანი და თემატიკა, ასევე შესაბამისად შედეგიც იყოს თანხვედრაში.</p> <p>თითოეული კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამეცადინო საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ამასთან ერთად, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ლოგიკურია და ითვალისწინებს კურსის თავისებურებებს; საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლებისა და სწავლის მეთოდები (ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული მუშაობა და სხვა)</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>სადოქტორო პროგრამა “სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიები” ; სასწავლო კურსების სილაბუსები ; პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; აწსუ-ს ბიბლიოთეკა</p>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში დაიხვეწოს ძირითადი ლიტერატურა; ✓ სასურველია, დაიხვეწოს სასწავლო კურსების მიზანი მის თემატიკასთან და შედეგთან, რომლებიც სრულად უნდა პასუხობდეს სასწავლო კურსს.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

